საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского районного совета народных депутатов

№33 (6259) შაბათი, 1990 წლის 17 მარტი ფასი 3 კაპ.

წლის მოსავალს – მყარი საფუძველი!

მივხედოთ ბაღებს

მიმდინარე წლის ზამთრის რბილმა კლიმატმა მრავალწლიან მცენარეებს, კერძოდ კი ხეხილს სტიმული მისცა ნაადრევი გაღვიძებისათვის, უკვე კვირტებმა დაბერვა დაიწყეს, მალე მოზამთრეობიდან გამოსვლას დაიწყებენ მავნებლების და დაავადებების მოზამთრე სტადიები.

ამიტომ გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს ხეხილის ბაღებში სათანადო სამუშაოების დროულად დაწყება. ხეხილის ბაღებში მიმდინარე სამუშაოები უპირველესად იწყება გასხვლითი სამუშაოებით. იმისათვის, რომ ხეხილმა მაღალი მოსავალი მოგვცეს, ის უნდა ივითაარებდეს დიდი რაოდენობით ნაყოფის მომცემ ნაწილებს, ამიტომ საზრდელ ტოტებთან ერთად საჭიროა განვითარდეს ნანაყოფე ტოტებიც, რაც გეგმაზომიერი სხვლის გარეშე წარმოუდგენელია.

სხვლის პარალელურად უნდა მოხდეს ხეხილის სანიტარულ-ჰიგიენური და აგროტექნიკური დამუშავება, რაც ხეხილის შტამბის და დედა ტოტების გაწმენდა-გასუფთავებაში მდგომარეობს. ასევე, უნდა მოხდეს ბაღიდან ყველა ანარჩენის გატანა და დაწვა, საჭიროა შტამბის ირგვლივ ნიადაგის შემობარვა.

მიმდინარე წელს სანიტარულ-ჰიგიენური და აგროტექნიკური ღონისძიებების ხარისხიანად ჩატარებით, რომელსაც ზაფხულის განმავლობაში დაემატება ბიოლოგიური მეთოდი ფერომენების (სქესმჭერების) გამოყენებით, უნდა შევძლოთ მავნებლების და დაავადებების რიცხობრიობის მკვეთრი შემცირება.

ვინაიდან ჩვენი რაიონის ხეხილზე გავრცელებული არის საკარანტინო მავნებელი, კალიფორნიის ფარიანა, რომელიც იწვევს მოკლე დროში ხეხილის ფიზიკურ განადგურებას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კვლავ გამოყენებულ იქნას პრეპარატი №30-თი, რომელიც წარმოადგენს ნავთობპროდუქტს და როგორც შხამქიმიკატი, არავითარ გართულებას არ იძლევა გარემოში.

ყოველ 5 ლიტრ წყალზე აიღება 5 კილოგრამი პრეპარატი №30.

ხეხილის დაავადების მოზამთრე სტადიების საწინააღმდეგოდ, როგორიცაა სხვადასხვა სიდამპლეები—ქეცი და ქანგები, შეიძლება მწვანე კონუსის ფაზაში გამოყენებულ იქნას ბორდოული სითხის სამ პროცენტიანი ნაზავი (ცისფერი წამლობა).

ყოველ 94 ლიტრ წყალზე აიღება 3 კილოგრამი შაბიბანი და 3 კილოგრამი ჩაუმქრალი კირი. ბოლოს ხეხილის შტამბი და დედა ტოტები კირის რძით უნდა შეილესოს, რომელსაც აქვს როგორც პროფილაქტიკური, ასევე სამკურნალო მნიშვნელობა.

რაიონის ყველა მიწათმოსარგებლისათვის უდავოდ ცნობილია თუ რა დიდი ადგილი უკავია რაიონის ეკონომიკაში ხილის წარმოებას, ისიც ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხილის წლევანდელ მოსავალს.

ამიტომ ყველას, თითოეული მშრომელის ვალია აქედანვე ვიზრუნოთ ხილის მოსავლიანობის გასადიდებლად, რისთვისაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბაღების სწორ ფორმირებას, ყველა აგროტექნიკური ღონისძიების ზუსტად, ვადების დაცვით ჩატარებას. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში, მიუხედავად ხელსაყრელი ამინდებისა, ეს საქმე ძალზე ჩამორჩება.

დროა საქმეს მივხედოთ, დავაჩქაროთ ბაღების სხვლა.

გ. სვანიძე,
რაიონის მცენარეთა დაცვის სახელმწიფო ინსპექტორი.



ცაგერის №23 საგზაო სამმართველოს ძლიერი ტექნიკური ბაზა აქვს. დიდი ხანია იყენებენ „სკრეპერის“ ტიპის მძიმე თვითმცლელ მანქანებს, რომლებიც გზებზე სხვადასხვა ოპერაციას ასრულებენ.

ხუთ წელზე მეტია მუშაობს „სკრეპერის“ მძღოლ-მექანიზატორად სერგო ჩიქოვანი, რომელიც გადაჭარბებით ასრულებს გეგმავალდებულებებს, ის ერთ-ერთი მოწინავეა №23 საგზო სამმართველოში.

ამჟამად იგი ცაგერი-წყალტუბოს გზის კოწოლ-ოურის მონაკვეთზე მუშაობს, სოფელ ღვედის ტერიტორიაზე, მდინარე ცხენისწყლის სანაპიროდან ეზიდება ქვიშას.

სურათზე: ს. ჩიქოვანი მორიგ რეისში გასვლის დროს.

ტექსტი და ფოტო ზ. გზოგავასი.

დეპუტატობის კანდიდატი ამომრჩევლებთან

ერის ინტერესებზე ზრუნვით

ლასურიაშის სასოფლო კულტურის სახლში ამ რეგიონის ამომრჩევლებს შეხვდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების №201 საარჩევნო ოლქში ჯემალ დავითის ძე საღინაძე.

დეპუტატობის კანდიდატსა და ამომრჩევლებს შორის დიალოგი საინტერესო და საქმიანი გამოდგა. ამას საფუძვლად დაედო დეპუტატობის კანდიდატის საღი პოლიტიკური აზრი მიმდინარე მოვლენებზე, გულშემატკივრული პოზიცია საქართველოს ხვალინდელ დღეზე, ერის მომავალზე.

შეხვედრა გახსნა ცაგერის №91 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგემ გურამ მუშკუდიანმა. მან ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მის პიროვნულ თვისებებზე.

ჯ. საღინაძემ ამომრჩევლებს გააცნო თავისი წინასაარჩევნო პროგრამის თეზისები და აღნიშნა, რომ დამოუკიდებელი საქართველოსათვის ბრძოლის ამ ეტაპზე ბოიკოტი არ უნდა გამოვუცხადოთ არჩევნებს, პირიქით, არჩევნები უნდა ჩატარდეს, მან უნდა დაგვანახოს ჩვენი პოლიტიკური მზადყოფნა, ის, თუ რამდენად ვისწავლეთ დემოკრატია, რა პასუხისმგებლობა გაგვაჩნია ერისა და ეროვნული პარლამენტის წინაშე.

დეპუტატობის კანდიდატის აზრით უახლოეს პერიოდში უნდა მოხდეს რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების აღდგენა, საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ საქართველოში თურქი მესხების ჩამოსახლება.

ხაზი გაუსვა, რომ უნდა დაწესდეს უზენაესი საბჭოს დეპუტატისათვის ხელფასი და გათავისუფლდნენ ისინი ძირითადი სამუშაოდან. ეს ბევრ კანდიდატს აიძულებდა უარი ეთქვა დეპუტატობაზე, და დარჩებოდა ის კონტიგენტი, ვისაც მართლაც მთელი შეგნებით და უნარით ძალუძს ემსახუროს ერის ინტერესებს.

შემოღებულ უნდა იქნას საქართველოს კომპარტიის სტატუსი, თუ ეს ასე მოხდება, იგი შეცვლის თავის პროგრამასა და წესდებას, დადგება ეროვნულ პლატფორმაზე, ამ შემთხვევაში ასეთ პარტიას და მის წევრებს შეუძლიათ ბევრი მამულიშვილური საქმე აკეთონ.

მთის რაიონების გლეხებს უნდა მიენიჭოთ თავისუფლება, მიეცეთ მათ მიწა სამემკვიდრეო სარგებლობისათვის, საპენსიო და სხვა სოციალური უზრუნველყოფის გარანტიები.

დეპუტატობის კანდიდატი შეეხო განათლების სფეროში არსებულ მდგომარეობას და აღნიშნა, რომ თუ რომელიმე სფეროს სჭირდება გარდაქმნა, ეს განათლების სფეროს სჭირდება, უნდა ამაღლდეს მასწავლებლის ავტორიტეტი, მისი როლი, შრომის ანაზღაურება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქის საოლქო-საარჩევნო კომისიას

საქართველოს სსრ კოლმეურნეთა რესპუბლიკური საბჭოს გამგეობამ დამასახელა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქში.

კარგად მაქვს შეგნებული მთელი პასუხისმგებლობა, რომელიც დაეკისრება დღეს ქვეყნის უზენაეს ორგანოში არჩეულ ხალხის წარმომადგენელს, მაგრამ არანაკლები პასუხისმგებლობა გვეკისრება თითოეულ ჩვენგანს ჩვენს სამუშაო ადგილზე, როცა დგას საკითხი საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის რეალური მიღწევის შესახებ. ამიტომ ვხსნი ჩემს კანდიდატურას დეპუტატობის კანდიდატობიდან. ვეცდები სამუშაო ადგილზე გავაკეთო ჩემი რაიონისა და ხალხისათვის იმაზე მეტი, რასაც მე შევძლებდი უზენაეს საბჭოში თუ კი დეპუტატი გავხდებოდი, ამით მინდა მეტი აქტიური წვლილი შევიტანო იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რაც მთელს ქართველ ხალხს აღელვებს.

ო. შ. ნემსწვერიძე.

ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

22 მარტს, ხუთშაბათს, დღის 3 საათზე სარაიონო კულტურის სახლში რაიონის ამომრჩეველთა თხოვნის გათვალისწინებით მოეწყობა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქის დეპუტატობის ყველა კანდიდატის შეხვედრა ამომრჩევლებთან.

საოლქო-საარჩევნო კომისია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნების ცაგერის რაიონული საარჩევნო კომისია

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ

„საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების შესახებ“ კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად შეიქმნას ცაგერის რაიონული საბჭოს არჩევნების შემდეგი საარჩევნო ოლქები:

ორხვის საარჩევნო ოლქი №1

ცენტრი—ორხვის სასოფლო კლუბის შენობა, ამომრჩეველი 208. დასახლებული პუნქტი სოფელი ორხვი.

ტვიშის საარჩევნო ოლქი №2

ცენტრი—ტვიშის სასოფლო კლუბი, ამომრჩეველი 249. დასახლებული პუნქტები: სოფელი ტვიში, სოფელი ლახეფა.

ქორენიშის საარჩევნო ოლქი №3

ცენტრი—ქორენიშის სასოფლო კლუბის შენობა, ამომრჩეველი 150. დასახლებული პუნქტები: სოფელი ქორენიში, სოფელი ზედა ტვიში.

აღპანის საარჩევნო ოლქი №4

ცენტრი—ალპანის სასოფლო კლუბის შენობა. ამომრჩეველი 176. დასახლებული პუნქტი სოფელი ალპანა.

აჭარის საარჩევნო ოლქი №5

ცენტრი—ალპანის კულტურის სახლის შენობა, ამომრჩეველი 173. დასახლებული პუნქტი სოფელი აჭარა.

ზოგიშის საარჩევნო ოლქი №6

ცენტრი—ზოგიშის არასრული საშუალო სკოლის შენობა. ამომრჩეველი 296. დასახლებული პუნქტები: სოფელი ზოგიში, სოფელი ცაგერა.

ქვედა საირმის საარჩევნო ოლქი №7

ცენტრი—ქვედა საირმის საბებიო საფერშლო პუნქტის შენობა. ამომრჩეველი 99. დასახლებული პუნქტი სოფელი ქვედა საირმე.

ზედა საირმის საარჩევნო ოლქი №8

ცენტრი—ზედა საირმის სასოფლო კლუბის შენობა. ამომრჩეველი 203. დასახლებული პუნქტი სოფელი ზედა საირმე.

სურმუშის საარჩევნო ოლქი №9

ცენტრი—სურმუშის სასოფლო ბიბლიოთეკის შენობა, ამომრჩეველი 146. დასახლებული პუნქტი სოფელი სურმუში.

თაბორის საარჩევნო ოლქი №10

ცენტრი—თაბორის არასრული საშუალო სკოლის შენობა, ამომრჩეველი 125. დასახლებული პუნქტი სოფელი თაბორი.

ლაილაშის საარჩევნო ოლქი №11

ცენტრი—ლაილაშის კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობა, ამომრჩეველი 392. დასახლებული პუნქტები: სოფელი ლაილაში, სოფელი ღუ.

ქვედა ღაჯანის საარჩევნო ოლქი №12

ცენტრი—ლაჯანის კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობა, ამომრჩეველი 328. დასახლებული პუნქტები: სოფელი ქვედა ლაჯანა, სოფელი გაგულეჩი.

ზედა ღაჯანის საარჩევნო ოლქი №13

ცენტრი—ლაჯანის კოლმეურნეობის ყოფილი კანტორის შენობა, ამომრჩეველი 203. დასახლებული პუნქტი სოფელი ზედა ლაჯანა შ. გ. ჭოხონელიძის სახლიდან თ. ბ. გოლეთიანის სახლის ჩათვლით.

ქვედა ორგელის საარჩევნო ოლქი №14

ცენტრი—ორბელის კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობა, ამომრჩეველი 425. დასახლებული პუნქტები: ქვედა ორბელი, ჭალის უბანი, ქოლობანი.

ზედა ორბელის საარჩევნო ოლქი №15

ცენტრი—ზედა ორბელის სასოფლო ბიბლიოთეკის შენობა, ამომრჩეველი 298. დასახლებული პუნქტები: სოფელი ზედა ორბელი, კურცობი.

წილამიერის საარჩევნო ოლქი №16

ცენტრი—წილამიერის სასოფლო ბიბლიოთეკის შენობა, ამომრჩეველი 141. დასახლებული პუნქტები: სოფელი წილამიერი, ლაშთავი.

ლაცორიის საარჩევნო ოლქი №17

ცენტრი—ლაცორიის საბებიო-საფერშლო პუნქტის შენობა, ამომრჩეველი 127. დასახლებული პუნქტი სოფელი ლაცორია.

სპათაგორის საარჩევნო ოლქი №18

ცენტრი—სპათაგორის სასოფლო კლუბის შენობა, ამომრჩეველი 174. დასახლებული პუნქტები სოფელი სპათაგორი, ლეშკედა.

ქვედა უსახელოს საარჩევნო ოლქი №19

ცენტრი—უსახელოს სასოფლო კლუბის შენობა, ამომრჩეველი 201. დასახლებული პუნქტი ქვედა უსახელო.

ზედა უსახელოს საარჩევნო ოლქი №20

ცენტრი—უსახელოს არასრული საშუალო სკოლის შენობა, ამომრჩეველი 221. დასახლებული პუნქტები: ზედა უსახელო, სოფელი ხოჯი.

ღვირიშის საარჩევნო ოლქი №21

ცენტრი—ღვირიშის კლუბ-კანტორის შენობა, ამომრჩეველი 250. დასახლებული პუნქტები: ზედა და ქვედა ღვირიში.

უცხერის საარჩევნო ოლქი №22

ცენტრი—უცხერის სასოფლო ბიბლიოთეკა, ამომრჩეველი 188. დასახლებული პუნქტი სოფელი უცხერი.

ნასპერის საარჩევნო ოლქი №23

ცენტრი—ნასპერის სასოფლო კლუბი, ამომრჩეველი 320. დასახლებული პუნქტები: სოფელი ნასპერი, სოფელი სანორჩი.

ნაკურალეშის საარჩევნო ოლქი №24

ცენტრი—ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს შენობა, ამომრჩეველი 204. დასახლებული პუნქტები: სოფელი ნაკურალეში, სოფელი ცხუკუშერი.

აღვის საარჩევნო ოლქი №25

ცენტრი—აღვის სასოფლო საბჭოს შენობა, ამომრჩეველი 321. დასახლებული პუნქტები: სოფელი აღვი, სოფელი კენაში.

მახაშის საარჩევნო ოლქი №26

ცენტრი—მახაშის არასრული საშუალო სკოლის შენობა, ამომრჩეველი 278. დასახლებული პუნქტი სოფელი მახაში.

ღასურიაშის საარჩევნო ოლქი №27

ცენტრი—ლასურიაშის სასოფლო საბჭოს შენობა, ამომრჩეველი 310. დასახლებული პუნქტი სოფელი ლასურიაში.

დეხვირის საარჩევნო ოლქი №28

ცენტრი—დეხვირის არასრული საშუალო სკოლის შენობა, ამომრჩეველი 220. დასახლებული პუნქტები: სოფელი დეხვირი, სოფელი ლესინდი.

ჩხუტელის საარჩევნო ოლქი №29

ცენტრი—ჩხუტელის საშუალო სკოლის შენობა, ამომრჩეველი 263. დასახლებული პუნქტი ლიდა ტარასის ასული ციხილაძის სახლიდან მელორი ტარასის ძე დავითულიანის სახლის ჩათვლით.

ჩხუტელის საარჩევნო ოლქი №30

ცენტრი—ჩხუტელის ბაგა ბაღის შენობა, ამომრჩეველი 218. დასახლებული პუნქტი გივი ილიკოს ძე მეშველიანის სახლიდან შოთა გრიგოლის ძე გუგავას სახლის ჩათვლით—წულვანის უბანი და სოფელი ლასხანა.

ჩხუტელის საარჩევნო ოლქი №31

ცენტრი—ჩხუტელის კოლმეურნეობის კანტორის შენობა, ამომრჩეველი 368. დასახლებული პუნქტი ამირან გრიშას ძე რუსიშვილის სახლიდან ჭიჭიკო შალვას ძე მურცხვალაძის სახლის ჩათვლით და დოღურაშის დასახლება.

ქვედა ცაგერის საარჩევნო ოლქი №32

ცენტრი—გვესოს სასოფლო კლუბის შენობა, ამომრჩეველი 350. დასახლებული პუნქტები: გიორგავას ღელიდან ცენტრალური გზის მარჯვენა მხარის დასახლება, კეჭნარის ღელემდე, სოფელი გვესო.

ქვედა ცაგერის საარჩევნო ოლქი №33

ცენტრი—ცაგერის კოლმეურნეობის ხის დამამუშავებელი საამქრო. ამომრჩეველი 322. დასახლებული პუნქტი ცენტრალური გზის მარცხენა მხარის დასახლება, აეროპორტიდან კეჭნარის ღელემდე.

ქვედა ცაგერის საარჩევნო ოლქი №34

ცენტრი—ცაგერის კოლმეურნეობის კანტორა, ამომრჩეველი 434. დასახლებული პუნქტი ცენტრალური გზის მარჯვენა მხარეზე, ნ. ა. კოპალიანის სახლიდან გიორგავას ღელემდე.

ჭალისთავის საარჩევნო ოლქი №35

ცენტრი— ჭალისთავის დაწყებითი სკოლის შენობა, ამომრჩეველი 326. დასახლებული პუნქტი სოფელი ჭალისთავის და ქვედა ცაგერის ახალი დასახლება ნ. ა. ლეთოდიანის სახლის ჩათვლით.

თავისუფლების საარჩევნო ოლქი №36

ცენტრი—კინოთეატრის შენობა, ამომრჩეველი 248. საზღვრები: თავისუფლების ქუჩა ლენინის ქუჩის გადაკვეთამდე, ვ. გოლეთიანის ქუჩა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, სტალინის ქუჩა, ცენტრალური მოედნიდან თავისუფლების ქუჩის გადაკვეთამდე, თამარის ქუჩა ლენინის ქუჩის გადაკვეთიდან სტალინის ქუჩის გადაკვეთამდე, ლ. ასათიანის ქუჩის 15, 17, 19, 21, 23, 25 სახლების ჩათვლით.

ჭავჭავაძის საარჩევნო ოლქი №37

ცენტრი—რაიონული საავადმყოფოს შენობა. ამომრჩეველი 254. საზღვრები: თავისუფლების ქუჩა ლენინის ქუჩის გადაკვეთიდან 9 აპრილის ქუჩის გადაკვეთამდე, ლენინის ქუჩა თავისუფლების ქუჩის გადაკვეთამდე, ისიანის ქუჩა, ჭავჭავაძის ქუჩა, დავით აღმაშენებლის ქუჩა, ნინოშვილის ქუჩა თავისუფლების ქუჩის გადაკვეთამდე.

ნინოშვილის საარჩევნო ოლქი №38.

ცენტრი—სამხატვრო გალერეა, ამომრჩეველი 304. საზღვრები: თამარის ქუჩა 9 აპრილის ქუჩიდან ლენინის ქუჩის გადაკვეთამდე, ნინოშვილის ქუჩა თავისუფლების ქუჩის გადაკვეთიდან თამარის ქუჩის გადაკვეთამდე, დავით აღმაშენებლის ქუჩის №41, ორმოცბინიანის საერთო საცხოვრებლიდან თავისუფლების ქუჩის გადაკვეთამდე და 9 აპრილის ქუჩა. თავისუფლების ქუჩა ლენინის ქუჩიდან 9 აპრილის ქუჩამდე.

აღმაშენებლის საარჩევნო ოლქი №39

ცენტრი—№23 საგზაო სამმართველო, ამომრჩეველი 274. საზღვრები: დავით აღმაშენებლის ქუჩა, თამარის ქუჩის №63-დან ორმოცბინიანი საერთო საცხოვრებლის ჩათვლით, ბარათაშვილის ქუჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნების ცაგერის რაიონული საარჩევნო კომისიის

დადგენილება

ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ

ღესელიძის საარჩევნო ოლქი №40

ცენტრი—16-ბინიანი საუწყებო სახლი, ამომრჩეველი 229. საზღვრები: ღესელიძის ქუჩა, ნინოშვილის ქუჩა, შ. ს. რაიგანყოფილების ადმინისტრაციული შენობიდან ახალ დასახლებამდე, ლადო ასათიანის ქუჩა დავით აღმაშენებლის ქუჩიდან ლენინის ქუჩამდე, ლენინის ქუჩის I-ჩიხი.

ქვედა ლუხვანოს საარჩევნო ოლქი №41

ცენტრი—სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა, ამომრჩეველი 213. დასახლებული პუნქტები: სოფელი ქვედა ლუხვანო, სოფელი ზარაგულა.

ზედა ლუხვანოს საარჩევნო ოლქი №42

ცენტრი—ზედა ლუხვანოს დაწყებითი სკოლის შენობა, ამომრჩეველი 105. დასახლებული პუნქტი სოფელი ზედა ლუხვანო.

ბარდნალის საარჩევნო ოლქი №43

ცენტრი—ბარდნალის სასოფლო ბიბლიოთეკის შენობა. ამომრჩეველი 309. დასახლებული პუნქტები: სოფელი ბარდნალა, სოფელი წიფერჩი, მდინარე ლოდარის მარცხენა მხარის დასახლება.

წიფერჩის საარჩევნო ოლქი №44

ცენტრი—წიფერჩის კლუბ-კანტორის შენობა. ამომრჩეველი 218. დასახლებული პუნქტები: სოფელი წიფერჩი, მდინარე ლოდარის მარჯვენა დასახლება, სოფელი ლარჩვალი.

ჩქუმი-ქულბაქის საარჩევნო ოლქი №45

ცენტრი—ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის შენობა, ამომრჩეველი 223. დასახლებული პუნქტები: სოფელი ჩქუმი, სოფელი ქულბაქი.

ზუბის პირველი საარჩევნო ოლქი №46

ცენტრი—ზუბის საშუალო სკოლის შენობა, ამომრჩეველი 235. დასახლებული პუნქტი მდ. ხვათულას მარჯვენა მხარეზე ფ. ლ. კუხალაშვილის სახლიდან ვ. ე. დავითულიანის სახლის ჩათვლით.

ზუბის მეორე საარჩევნო ოლქი №47

ცენტრი—ზუბის საბავშვო ბაღის შენობა, ამომრჩეველი 237. დასახლებული პუნქტი ა. ს. ჯანელიძის სახლიდან ო. ე. ჩაკვეტაძის სახლის ჩათვლით.

ისუნდრის საარჩევნო ოლქი №48

ცენტრი—ისუნდრის არასრული საშუალო სკოლის შენობა, ამომრჩეველი 218. დასახლებული პუნქტები: სოფელი ისუნდერი, სოფელი მახურა.

ქვედა ოყურეშის საარჩევნო ოლქი №49

ცენტრი—ოყურეშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა, ამომრჩეველი 245. დასახლებული პუნქტები: ქვედა ოყურეში, სოფელი ოფიტარა.

ზედა ოყურეშის საარჩევნო ოლქი №50

ცენტრი—ზედა ოყურეშის დაწყებითი სკოლის შენობა, ამომრჩეველი 212. დასახლებული პუნქტი სოფელი ზედა ოყურეში.

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების ცაგერის რაიონული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: ა. კვირკაშვილი.

კომისიის მდივანი: ნ. ჩაკვეტაძე.

ქ. ცაგერი, 3 მარტი, 1990 წელი.

---

18 მარტი ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაკთა დღეა

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა ორიოდე კითხვით მიმართა ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელებს:

1. რა შედეგები მისცა მათ გარდაქმნისათვის გაშლილმა მოძრაობამ?

2. რა პერსპექტივებია დასახული ახლო მომავალში მომსახურების გაუმჯობესებისათვის?

ზაურ გენიძე,

რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე:

უკვე მეორე წელია რაიკოოპერატივი სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა, რამაც დადებითი შედეგები მოგვცა. 1989 წლის გეგმით უნდა გვევაჭრა 10619 ათასი მანეთი, ფაქტიურად ვივაჭრეთ 10622 ათასი მანეთი, რაიკოოპერატივმა გასული წელი ნაცვლად 167 ათასი მანეთი მოგებისა, დამთავრდა 169 ათასი მანეთის მოგებით. პირველად რაიკოოპერატივის ისტორიაში 1990 წლის 1 იანვრისათვის არ გვერიცხება საქონლის ზენორმატიული ნაშთები. ერთ სულ მოსახლეზე ნავაჭრმა თანხამ შეადგინა 613 მანეთი, რომელიც 1988 წელთან შედარებით გაზრდილია 17 მანეთით. მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩატარდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად, დაწყებულია ორბელის სავაჭრო ცენტრის მშენებლობა, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ლაილაშის სავაჭრო ცენტრს, დაწყებულია ღვირიშის პურსაცხობის მშენებლობა, აშენდა რაიკოოპვაჭრობის მიმღები უნივერსალური პუნქტი, ლაჯანის სასურსათო მაღაზია, ღვირიშის ღელის ყოველდღიური მოთხოვნილების მაღაზია. კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდა ლაჯანის სასადილოს. მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდა სისტემის 5 ობიექტს.

ახლო მომავალში მომსახურების გაუმჯობესებისათვის გათვალისწინებული გვაქვს მთელი რიგი საკითხები, კერძოდ, მიმდინარე და კაპიტალური შეკეთებებს ჩავუტარებთ სისტემის 10 ობიექტს, სისტემატურად მივიღებთ მონაწილეობას ბაზრობებში, მოვაწყობთ დატარებით და გამოფენით ვაჭრობებს, მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლის გზით ქსელში შემოვზიდავთ მათთვის საჭირო პირველი მოთხოვნილების საქონელს, დავიცავთ ობიექტებში სანიტარულ-ჰიგიენურ წესებს, ვეცდებით აღვკვეთოთ ქსელში ფასდამახინჯებები, ფასგამოუცხადებლობა, უფაქტურო საქონლით ვაჭრობა.

გიორგი მუშკუდიანი,

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი:

გარდაქმნისათვის გაშლილი მოძრაობის პერიოდში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ გასწია სერიოზული მუშაობა სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისათვის, რამაც გააუმჯობესა სამმართველოს ფინანსური მდგომარეობა, აღარ გვაქვს ბანკის სესხები და მომწოდებელი ორგანიზაციების ვალები, დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები. გაუმჯობესდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, გასულ წელს ერთ სულ მოსახლეს გაეწია 23 მანეთის მომსახურება, მაშინ, როცა იგი 1985 წელს შეადგენდა 19 მანეთს. ბოლო წლებში სამმართველო გადაჭარბებით ასრულებს მომსახურების გეგმებს, რასაც დიდად შეუწყო ხელი კოოპერატივების შექმნამ.

ახლო მომავალში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის დასახული გვაქვს, რომ კიდევ უფრო გავაფართოოთ კოოპერატივების ქსელი. ალპანაში აშენდება 10-ადგილიანი საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, ქალაქ ცაგერში ჰიგიენის სახლი, სადაც თავს მოიყრის ქიმწმენდა, აბანო, სამრეცხაო, ქალთა და მამაკაცთა სალონები. პერსპექტივაში გათვალისწინებული გვაქვს ყველა სოფელში გვქონდეს საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

მურადი მიქაძე,

საბინაო-კომუნალური მეურნეობის დირექტორი:

საბინაო კომუნალური მეურნეობის კომბინატმა გარკვეულად იმუშავა ქალაქში საბინაო-კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის, შეიქმნა ავარიების სალიკვიდაციო კომპლექსური ბრიგადა, სარემონტო სამშენებლო კოოპერატივი „ორბიტა". გასულ წელს მოასფალტდა ქალაქის ქუჩები, სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა კომუნალურ საცხოვრებელ ბინებს. გადაჭარბებით შესრულდა საერთო ფულადი შემოსავლების გეგმა, ნაცვლად გეგმური 148 ათასი მანეთისა, შემოვიდა 149 ათასი მანეთი. მომავალში დასახული გვაქვს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი საბინაო-კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის. დაიწყება ქულბაქიდან სასმელი წყლის გამოყვანითი სამუშაოები, რაც სულ დაჯდება ერთი მილიონი მანეთი. წელს შესრულდება 100 ათასი მანეთის სამუშაო. ექსპლოატაციაში შევა ქალაქის ცენტრალური საქვაბე მეურნეობა. დაწყებულია და დამთავრდება 48-ბინიანი კომუნალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რაც უზრუნველყოფს ამჟამად არსებულ ავარიულ საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებთა ბინებით დაკმაყოფილებას. წელს ქალაქის ქუჩების, ბაღებისა და სკვერების კეთილმოწყობისათვის დაიხარჯება 128 ათასი მანეთი. 1991 წლიდან ორგანიზაცია გადავა სრულ სამეურნეო ანგარიშზე.

ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ: ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲒᲐᲕᲠᲘᲐ

ხელმარჯვე ოსტატი

18 მარტს ჩვენს ქვეყანაში აღინიშნება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა დღე. ამ დღეს ბეჯითი შრომით, განაღდებული პიროობით ეგებება ლაჯანის სამკერვალო საამქროს მკერავი მურთაზ მახარობლიძე.

დღეს საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკს დიდი მისია აკისრია ქვეყნისა და ხალხის წინაშე. საქმე არამარტო მოცემული გეგმების შესრულებაშია, არამედ მომხმარებლებთან გულისხმიერ, ყურადღებიან დამოკიდებულებაში. რაოდენ სასიამოვნოა, როცა შენი მადლიანი მარჯვენით, მომსახურების კულტურით, კეთილსინდისიერი შრომით თანასოფლელებში, მრავალრიცხოვან შრომით კოლექტივში პატივისცემას და სიყვარულს დაიმსახურებ.

ჯერ კიდევ ბავშვობაში მურთაზის იდეალი ტანსაცმლის კერვა იყო. მართალია ამ პროფესიის დაუფლებას ბევრი შრომა და უძილო ღამე დასჭირდა, მაგრამ სასურველ მიზანს მიაღწია.

დღეს საქმეზე შეუყვარებულ ხელოსანს სიამაყის გრძნობა ეუფლება იმის გამო, რომ ყოველ წელს თანამოსაქმეებს შორის შეჯიბრებაში ერთ-ერთი გამარჯვებული გამოდის. გამარჯვება კი იმ პასუხისმგებლობას მოჰყვა, რომელსაც იგი იჩენს თავის შემკვეთებთან, ყოველ დღე რიგში რომ დგანან, ვის რისი შეკერვა სურს და ვის რისი, ყველას თავისი კაპრიზი აქვს. მთავარი

(დასასრული მე-4 გვერდზე).

უპირველესად — მომსმარებლის ნდობა

მოსახლეობის მომსახურების საქმეში ერთ-ერთი უპირველესი ადგილი ვაჭრობას უჭირავს. ეს უბანი რთულია და პასუხსაგებიც, რადგან მომხმარებლებს უშუალო კონტაქტი აქვთ ვაჭრობის მუშაკებთან. ვაჭრობის მუშაკებს კი ერთი მუდმივი საზრუნავი უნდა ჰქონდეთ—ყოველთვის მადლიერი ყავდეთ მომხმარებელი, რაც დღევანდელ პირობებში არც თუ იოლი საქმეა.

იმათ შორის, ვინც იბრძვის ამ დარგის პრესტიჟისათვის, არის ქალაქის უნივერმაღის შეკერილების სექციის სექციონერი ნუკრი ქვილითაია. კარგი ქალია ნუკრი, მოკრძალებული, მშვიდი, სიტყვაც მოზომილი იცის და ვერც საქციელს დაუწუნებს კაცი. დილის ათი საათიდან გვიან საღამომდე დგას დახლთან და სულ იმის ცდაშია, ხელცარიელი არ გაუშვას მის სექციაში შემოსული მომხმარებელი. გულახდილად ვთქვათ: ათას კაცს რომ აამო და ათასმეერთეზე ფეხი წაგიცდეს (ადამიანები ვართ) ათი ათასჯერ გაგიცხავენ, შენდობითაც არავინ შეგინდობს და თითოეულმა გამონაკლისმა შემთხვევამაც შესაძლოა წარუხოცავი ლაქა დატოვოს. ამიტომაა საჭირო, რომ დარგის ყველა მუშაკმა ბრძოლა გააჩაღოს ვაჭრობის პრესტიჟის, მომსახურების კულტურის დონის ამაღლების, პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერებისათვის.

—რაღაცნაირად მეშინოდა ვაჭრობის, მაგრამ მაინც გადავწყვიტე სკოლა-მაღაზია დამემთავრებინა, ასეც მოხდა და აგერ უკვე თერთმეტი წელია ვმუშაობ ამ რთულ და საპატიო სფეროში.

—ბევრი სხვადასხვანაირი ადამიანი გხვდებათ, ალბათ, ძნელია თქვენთვის მათთან ურთიერთობა, მით უფრო, რომ ფეხსაცმელებიც თქვენს სექციაშია?

—ყველას სხვადასხვანაირი მიდგომა სჭირდება. ეცდილობ თითოეულ ჩემს მომხმარებელთან საერთო ენა გამოვნახო. ეს შესაძლებელია, თუ დაკისრებულ მოვალეობას სიყვარულს დაატან...

გასული წელი ახალგაზრდა სექციონერმა, სამი შვილის დედამ წარმატებით გააცილა. მიმდინარე წლის სავაჭრო მომსახურების ორი თვის გეგმა 118,5 პროცენტით შესრულა.

პრობლემები ვაჭრობაში დიდია, გასაკეთებელი უამრავი, მაგრამ მთავარია მომსახურების კულტურა, რომლითაც მომხმარებელს თავს დაამახსოვრებ და მის თვალებში მადლიერებას ამოიკითხავ.

ბ. კაჭკაჭაშვილი.

ხელმარჯვე ოსტატი

(დასასრული)

ისაა, რომ ყველას თავაზიანი ღიმილით ეგებება, ყველას თხოვნას ასრულებს, ტანზე ნახელავს მოარგებს და ბედნიერებასა და ჯანმრთელობაში მოიხმარეო, არ დაავიწყდება.

ასე გალია თავის პროფესიაზე უსაზღვროდ შეყვარებულმა ხელოსანმა 12 მრგვალი წელიწადი. ვინ იცის, რამდენჯერ თორმეტი სიხარული მიანიჭა მის მუდმივ შემკვეთებს. ამიტომაც არ უჭირს მოცემული გეგმის შესრულება. შარშან მშრომელთა მომსახურების 3 ათას მანეთს მიაღწია, გეგმა კი 2050 მანეთს ითვალისწინებდა. მიმდინარე წლის ორი თვის გეგმაც გადაჭარბებით აქვს შესრულებული.

მურთაზ მახარობლიძე სამი ვაჟის მამაა. სამივეს პატიოსანი შრომის, მოყვასის სიყვარულს უნერგავს.

გვჯერა, რომ ხელმარჯვე ოსტატი მომავალშიც მშრომელთა ხაყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა შორის შეჯიბრების წინა ხაზზე იქნება.

ბ. ბაძრაძე.

ნინო ვლადიმერის ასულ ხეცურიანს
გიორგი დიმიტრის ძე ლიპარტელიანს

გილოცავთ ბედნიერებას, დაგბედებოდეთ შვილთა სიმრავლე და სიტკბოება.

მხარეთმცოდნეობისა და დიდების მუზეუმების თანამშრომლები.

ნინო ვლადიმერის ასულ ხეცურიანს
გიორგი დიმიტრის ძე ლიპარტელიანს

გილოცავთ ბედნიერებას, დაე, ფუძეძლიერი, შვილმრავალი და ბედნიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი. სიყვარულის ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

რაიისაბჭოს აღმასკომის აპარატის და არქიტექტურის თანამშრომლები.

კიდევ კარგი არ დასცალდა

ცხოვრების საინტერესო გზა განვლო პარტიის, შრომისა და ომის ვეტერანმა ალიოშა მირცხულავამ. იგი ჩვენი რთული ისტორიის გვერდ მოვლენის უშუალო მომსწრეა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობის დროს მას ხშირად ჰქონია შეხვედრები იმ ადამიანებთან, რომლებიც ქვეყნის ხელისუფლების სათავეში იდგნენ. სამწუხაროდ, ამ ურთიერთობით მიღებული შთაბეჭდილებები მთლიანად კეთილმოსაგონარი როდია, ვინაიდან უბუნურობის მოწმეც არაერთხელ გამხდარა ვეტერანი. ამჯერად მისი სურვილია მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაზე ისაუბროს.

ქვეყნის პოლიტიკური, იდეოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების გარდაქმნა-განვითარებისათვის ჩვენი პარტიისა და მთავრობის პრინციპულ ბრძოლას და თანმიმდევრულ, გამიზნულ საქმიანობას თან ახლდა ცალკეულ ხელმძღვანელთა გამოხდომები, რათა მრუდე გზით წარემართათ აღებული კურსი. ასეთ პირთა კოლექციას ამშვენებს ნ. ხრუშჩოვი, რომლის ზოგიერთ „საგმირო საქმეზე" მინდა მოგითხროთ.

1951 წლის 4 მარტს გაზეთმა „პრავდამ" გამოაქვეყნა ნ. ხრუშჩოვის წერილი სათაურით „კოლმეურნეობებში მშენებლობისა და კეთილმოწყობის შესახებ", რომელშიც გატარებული იყო უმართებულო, მცდარი აზრები და მოსაზრებები სოფლად პარტიის საქმიანობის ძირითად საკითხებზე. კერძოდ, ხრუშჩოვი აქ მოითხოვდა სოფლების მოშლას და სპეციალურად შერჩეულ ადგილებში დასახლებების (აგროქალაქების) მოწყობას; გლეხთა სახლების დანგრევას და ახალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობების აგებას; ტრადიციულად და მტკიცედ დამკვიდრებული სახელწოდებების „სოფელისა" და „სასოფლოს" ნაცვლად, რაც ვითომცდა არ შეეფერებოდა თანამედროვე სოფლის მოსახლეობის ცხოვრების სიდიადეს, „საკოლმეურნეო დასახლების" დაწესებას.

სტალინს იმავე დღეს წაუკითხავს ეს პუბლიკაცია, არ მოსწონებია მასში ჩამოყალიბებული დებულებები და შენიშვნა მიუცია რედაქტორისათვის წერილის განმარტების გარეშე გამოქვეყნებისათვის (მაშინ „პრავდის" რედაქტორი ერთდროულად იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. სუსლოვი).

იმ დღეებში პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკებთან საუბრისას (ვმუშაობდი ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორად) სუსლოვმა თქვა, რომ სტალინს დავალება მიუცია დაებეჭდათ რედაქციის შენიშვნა. მართლაც ეს მარტს „პრავდაში" გამოქვეყნდა შემდეგი შინაარსის განცხადება:

„რედაქციისაგან. შეცდომის გასწორება.

გაზეთ „პრავდის" გუშინდელ ნომერში ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის „კოლმეურნეობებში მშენებლობისა და კეთილმოწყობის შესახებ" დასტამბვისას რედაქციას გამორჩა შენიშვნა. მასში ნათქვამია, რომ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი იბეჭდება დისკუსიის წესით.

ამ ცნობით ეს შეცდომა გასწორებულია".

პოლიტბიუროს სხდომას, რომელმაც გაარჩია ხრუშჩოვის წერილთან დაკავშირებით გამოყოფილი კომისიის მოხსენება, ესწრებოდით ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორები—ნიკიტინი, ზადიონჩენკო, გუსაროვი, ანდროპოვი და მე.

აზრი გამოთქვა პოლიტბიუროს თითქმის ყველა წევრმა. განსაკუთრებით მკაცრი კრიტიკული განცხადებით გამოვიდა მოლოტოვი, რომელმაც ხრუშჩოვის მცდარ შეხედულებებს პრინციპული პოლიტიკური შეფასება მისცა. მან ხრუშჩოვი დაახასიათა როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის ელემენტარული პრინციპების არმცოდნე, სუსტი პოლიტიკური მოაზროვნე და მოითხოვა მისი სასტიკად დასჯა თანამდებობიდან გათავისუფლებით და ძირეულ სამუშაოზე გაგზავნით. მოლოტოვის წინადადებას მხარი დაუჭირეს კაგანოვიჩმა, მალენკოვმა და მიკოიანმა.

თვითონ ხრუშჩოვი ძალიან ღელავდა, ნერვიულობდა, გრძნობდა თავის დანაშაულს, ძალზე დაბნეულად გამოვიდა. მან აღიარა თავისი შეცდომები და პოლიტბიუროს შეჰპირდა მათს გამოსწორებას პრაქტიკული საქმიანობით.

ყველამ დაამთავრა აზრის გამოთქმა. სტალინი წამოდგა, გადახედა დამსწრეთ და წყნარი, დამშვიდებული ტონით დაიწყო (ცხადია, ყველაფერს დიდი ყურადღებით ვისმენდი და ჩანაწერსაც ვაკეთებდი):

თანამედროვე სოფლები, რომლებიც ათეული მილიონობითაა, ასეული მილიონობით ადამიანის მიერ შენდებოდა საუკუნეების მანძილზე, საცხოვრებლად მოსახერხებელ და სასარგებლო ადგილებში, უმეტესწილად მდინარეთა გასწვრივ) ან მათს ახლოს, აქვეა ხეხილის ნარგავები, ბაღ-ბოსტნები. სახლების აგებისას დაცულია ეროვნული თავისებურებანი, სტილი (უნდა აღინიშნოს, რომ სტალინი ხალხური ტრადიციების ღრმა მცოდნე და დიდი პატივისმცემელი იყო), ამ სოფლების გაშენება-კეთილმოწყობისათვის გაწეულია უზარმაზარი შრომა და ხარჯები. და უცებ წინადადება—ყოველივე ამის დანგრევა-გაუქმების, მოსახლეობის აყრის შესახებ, ეს უგნური მოქმედება, მავნებლობაა. რაც შეეხება „სოფლის" „სასოფლოს" და სხვა ტერმინების შეცვლას გამოგონილი სახელწოდებებით, სრულიად გაუმართლებელია, უაზრობაა. თუ ერთი წუთითაც კი დავუშვებთ და გავიზიარებთ ხრუშჩოვის მოსაზრებას, სოფლის მოსახლეობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ავამხედრებთ.

პირადად ხრუშჩოვის შესახებ სტალინმა ასეთი აზრი გამოთქვა: ხრუშჩოვს ეს შეცდომა მისი უცოდინარობით მოუვიდა. იგი მოიკოჭლებს თეორიაში, არა აქვს შესწავლილი და ათვისებული სოციალიზმის პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლები, ნაკლებად ერკვევა ცხოვრების კანონზომიერებებში. მას სურდა რაიმე ახლის, კარგის შემოთავაზება, მაგრამ პირიქით გამოუვიდა. ხრუშჩოვის მონანიება ჩათვალეს გულწრფელობად და საჭიროდ აღარ მიიჩნიეს ორგანიზაციული ხასიათის ზომების მიღება.

ამჯერად მშრალად გადაურჩა დამსახურებულ სასჯელს ეს დაბალი ინტელექტის ადამიანი.

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

კითხვა: 1953 წლიდან 1989 წლამდე ვმუშაობდი ლასურიაშის კოლმეურნეობაში. შრომის ხელფასიდან ვიხდიდი დაზღვევისათვის განკუთვნილ თანხას. ამჟამად ავადმყოფობის გამო აღარ ვმუშაობ, ამასთან მივაღწიე საპენსიო ასაკს. გთხოვთ განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა დაზღვევის იმ თანხის ანაზღაურება, რომელსაც ვიხდიდი კოლმეურნეობაში მუშაობის დროს?

პასუხი: მოქალაქე, რომელიც ხელფასიდან გადარიცხვით იხდის ნებისმიერი გრძელვადიანი პირადი დაზღვევის თანხას, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიიღებს გამოსასყიდ თანხას, რისთვისაც საჭიროა დამაზღვეველმა წერილობითი განცხადებით მიმართოს შესაბამის დაზღვევის ინსპექციას.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი. ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3., განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,

გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 26 ინდექსი 66589, ტირაჟი 4660

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ჭუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.